[illegible]

№ 349 1918, წ. პარასკევი, ოქტომბრის 4. № 349

სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

ზოგიერთი ცნობებით ბულგარეთს მოკავშირეებთან უკვე ჩამოუგდია სეპარატიული ზავი. გერმანიის მთავრობაში ცვლილება ჰხდება. სამოქმედო პროგრამას საფუძვლად ედება სოციალ-დემოკრატების პირობები. შამპანში ამერიკელების იერიშები გრძელდება.

გულდამწვარნი დედ-მამა ქეთევან და დეკანოზი დავითი, დები: ნინო და ევდოკია; ძმები: მიხეილ და ვლადიმერი და რძალი მარიამ ბარნაბიშვილები; სიძეები: ალექსანდრე ნეიმანი და ვლადიმერ ბასილია და შვილი პაწია კატო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი

ზინა დავით ბარნაბიშვილის ასულ რაგუტოვსკის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება შაბათს, ოქტომბრის 5-ს კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 საათზე პანაშვიდი 12 საათზე. განსვენებულის საფლავზე 1354

მეუღლე ატატო კოტატის ასული, შვილები: დავით, ალექსანდრე და პორფილე ტაიას ძენი ჩაჩიბაიები, პარასკევა ტაიას ასული დგებუაძისა, ეფროსინე ტაიას ასული კობახიძისა და სიძეები ვლადიმერ დგებუაძე და ლევან კობახიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის მეუღლის, მეორეთა მამის, ხოლო უკანასკნელთა სიმამრის,

ტაია დავითის ძე ჩაჩიბაიას

ტრაგიკულად გარდაცვალებას, დაკრძალვა დანიშნულია ოქტომბრის 6-ს სოფ. გურძემში სენაკის მაზრა ადგილობრივი ეკლესიის გალავანში. 2096

ექიმი იასონ ისიდორეს ძე ჟორდანია უღრმეს მადლობას უძღვნის მათ, ვინც პირადის დასწრებით, დეპეშით, თუ წერილობით ანუგეშა განუსაზღვრელ მწუხარებაში მისი ძვირფასი და დაუვიწყარის მეუღლის

კატუშა ჟორდანიას

გარდაცვალების გამო. 2103

საქართველოს სოც. ფედერალისტთა სარევოლ. პარტიის ზესტაფონის კომიტეტი ამით აცნობებს ძვირფასი ამხ. მასწავლებელ

ვასილ (ვასო) არდიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ოქტომბრის 3-ს, ნაშუადღევის 4 საათზე ქ. ზესტაფონში. 1351

ქალაქ ყვირილის ქალ-ვაჟთა გიმნაზიების ღრმად დამწუხრებულნი აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს ძვირფას ამხანაგის ამავე გიმნაზიების მასწავლებლის

ვასილ თედორეს ძის არდიშვილის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ოქტომბრის 3-ს ქალ. ზესტაფონში ნაშუადღევის 4 საათზე. 2097

მეუღლე თამარ ილარიონის ასული ბრეგაძისა, სიდედრი ელისაბედ და სიმამრი ილარიონ ძიმისტარიშვილები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ოქტომბრის 5-ს, წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

აკაკი ბესარიონის ძის ბრეგაძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. პანაშვიდი წირვის შემდეგ. 2102

1918—19 წლის საოპერო სეზონი

სახელმწიფო თეატრი

დირექცია ნ. ლ. ლევიცკის

პარასკევს, ოქტომბრის 4-ს, **„დუბროვსკი“** ოპერა 4 მოქმ. მუს. ნაპრავნიკისა

მონაწილეობას მიიღებენ: ვოლ ლევიცკისა, იანსა, ოვსიანიკოვისა, ზალიპსკი, პოლიაევი, ზუბარევ-ნიკოლსკი, დემიანენკო, ეზროვ, კურბატოვი.

დირიჟორი **სამოსუდი.** დასაწყისი 8 საათზე.

კასა ღიაა 10—2 ს., საღამოს 6 ს. სპექტაკლის გათავებამდე.

ანონსი: შაბათს, ოქტომბრის 5-ს „ტანგეიზერი“, 6-ს „ტოსკა“, 7-ს „აიდა“. 1337

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, ოქტომბრის 4-ს, გაიმართება

დიდი საგასტროლო წარმოდგენა

დღეს ცირკში იქნება ჰაერის მეფე, **სამი ეშმაკი.** გასტროლი ცნობილი კომიკებისა ძმ. **ვიქტორ და დიმისა** მუსიკა უკრავს 8 ს. დასაწყისი 8 ნახ. ს.

ანონსი: ხვალ ცირკში გაიმართება „კაბარე“.

2100 მთავარი ადმინისტრატორი **პ. ელიზაროვი**

განცხადება

ტფილისის სახელმწიფო ინსტიტუტში და მასთან არსებულ უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში სწავლა დაიწყება ოქტომბრის 15-ს (ქართულ ენაზე).

ინსტიტუტში გახსნილია ორი განყოფილება:

1. სიტყვიერებისა და ისტორიისა (ქართ. ენა და ლიტერ., საქართვ ისტ.)
2. ბუნებისმეტყველება და მათემატიკა.

ცნობად: 1. ინსტიტუტში შემოსვლა შეუძლიან ყველას, ვისაც ერთი ერთი სავაჟო ან საქალებო საშვალო სასწავლებელი აქვს დასრულებული და ან განსაკუთრებით სამასწავლებლო სემინარია.

2. ინსტიტუტის პირველ კურსზე ოცი სტიპენდიანტის ადგილია თავისუფალი.

3. თხოვნები მიიღება ინსტიტუტის კანცელარიაში, დიდიმთავრის ქუჩა № 91 (ველიკოკნიაჟ. 91).

ინსტიტუტის დირექტ. დ. ნ. უზნაძე. 1352

ქართული კლუბი

(საზაფხულო შენობა)

პარასკევს, შაბათს და ორშაბათს ღვინობისთვის 4, 5 და 7-ს საქველმოქმედო მიზნით გაიმართება საღამოები

ლოტოს თამაში

მომგები, ფულის მაგივრად, მიიღებს 15 ქართულ ლატარიის ბილეთს.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. 1358

სკოლა და გადასაწერი ბიურო ქართულ მანქანებზე.

კურსი პირველი ჯგუფისა დამთავრდა, დაიწყო ჩაწერა მეორე **ჯგუფისა.**

მისამართი: „ალაროდია“, ბებუთოვის ქუჩა, სახლი № 24.

ნ. გედევანიშვილი. 2099

ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირში

საჭიროა

ინსტრუქტორები

მცოდნე კოოპერაციისა როგორც თეორეტიულად ისე პრაქტიკულად.

პირობები შემდეგია: უმცროს ინსტრუქტორს ეძლევა ჯამაგირი 1350 მან. თვეში, უფროს—1500 მან. დღიური და გზის ფასი ცალკე.

თხოვნებს იღებს ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა. მიხაილოვის პროსპ. სახლი № 178. 1350

განცხადება

სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილი ამით აცხადებს, რომ ტფილისის სამხედრო პირველ სურსათის მთავარ საწყობში ოქტომბრის 13-ს, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება 2464 ფუთი ხორბლის მტვერი, 2026 ფუთი უვარგის ლანძილის წნილი, 250 ფუთი შაქრის მტვერი, 1720 ფუთი წიწაკა, 3214 ფუთი დაფნის ფოთოლი და 1576 ფუთი ქაშაყ-თევზი (Сельди), ხოლო ოქტომბრის 6-ს, საჯარო ვაჭრობითვე გაიყიდება მეორე სასურსათო მთავარსაწყობიდან 200 ფუთი ხორბლის მტვერი. საჯარო ვაჭრობა დაიწყება დღის 12 საათზე. დაწვრილებითი პირობების გაგება მსურველთ შეუძლიანთ გაიგონ ზემოხსენებულ საწყობებში და სამხედრო სამინისტროსსაადმინისტრაციო ნაწილში. 3471

მე-II წელიწადი ვაჟთა და ქალთა გიმნაზია **მე-II წელიწადი**

ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ძხენიას ქ. № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. **გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს.** ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყება 2 ენკენისთვიდან.

გიმნაზიის გამგე **ს. ნ. შულგინი.**

1917—1918 სასწ. წელს უკვე დაამთავრეს მოწაფეებმა პირველად კურსი („პირველი ვიპუსკი“). 2080

ტფილისი, ოქტომბრის 4.

ჯარის საჭიროება. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველო რუსეთის ფარგლებში იყო, ჩვენ დიდს ყურადღებას ვაქცევდით ჯარის შედგენის საქმეს. ჩვენ ვიცოდით, განსაკუთრებით ბოლშევიკების „გამარჯვების“ შემდეგ, რომ რუსეთი უეჭველად ანარქიის ცეცხლში ვარდებოდა. ვხედავდით, რომ საჭირო იყო საკუთარი ძალების აღძრავება, საკუთარი კერის შექმნა, რადგან ძველი კერა აშკარად ინგრეოდა. სამწუხაროდ მაშინ ჩვენი ძახილი არამც თუ არ ისმინეს, დიდ დანაშაულობადაც ჩაგვითვალეს. რაოდენი დევნა, ლანძღვა გინება და უმართებულობა აუტანია ამისათვის ჩვენს პარტიას—ამას დღეს აღარ მოვიგონებთ. დადგა მომენტი, როდესაც გარეშე მტერი, ოსმალეთი ჩვენს ქვეყანას გადაყლაპვას უპირებდა. მაშინ აღმოჩნდა, რომ სრულიად მოუმზადებელნი ვიყავით და ირგვლივ შემორტყმულ მგელთა ხროვაში კრავის როლს ვთამაშობდით. საკვირველი არ იყო, მიუხედავად ხალხის ერთნაირ აღფრთოვანებისა და აღტყინებისა—რომ დავმარცხდით და საუკეთესო მხარე საქართველოსი დავკარგეთ. თანამედროვე გაწრთვნილ ჯართან შედარებით ჩვენი ერთი დღის ჯარი, რასაკვირველია, უძლური აღმოჩნდა!

საქართველოს დამოუკიდებლობამ უფრო მკაცრად წამოაყენა საკითხი საკუთარის ჯარის შექმნისა. სახელმწიფო ვერ იარსებებს ისე, თუ მას შეიარაღებული დამცველი არა ჰყავს. ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა, რადგან სახელმწიფო ერთნაირი ძალდატანებითი ორგანიზაციაა, მაგრამ გარდა სახელმწიფოს ბუნებისა, ჩვენმა საგარეო მდგომარეობამაც მძლავრად მოგვთხოვა შეიარაღებული ძალა. საამისო მუშაობა უკვე არსებობდა, მას მთავრობა კიდევაც აწარმოებდა. მაგრამ სამწუხარო ფაქტი დღესაც ყველასათვის თვალით დასანახია: საქართველოს მისი მეხუთედი ჯარიც არა ჰყავს, რაიც აუცილებლად ესაჭიროება გარეშე და შინაურ მტრებთან გასამკლავებლად. ჩვენი ჯარი კიდევ ფორმაციის პროცესშია და ვინ იცის, როდის შევსძლებთ იგი ნამდვილ ძალად გარდავაქციოთ. ეს აიხსნება მითაც, რომ ჩვენ იმდენი ენერგიით ვერ ვეპყრობით ამ საქმეს, რამდენსაც მომენტი მოითხოვს. ათასგვარი პროექტია, ათასგვარი გეგმაა და ამიტომ გარკვევით ვერც ერთს გზას ვერ დავდგომივართ. ხსენებული გეგმები ერთმანეთს ხელს უშლის, გარდა იმისა, რომ აუარებელ ხარჯს იწვევს. დღევანდელი მდგომარეობა კი გართულდა, საქართველოს ცაზე ყოველის მხრითგან ისევ გამოჩნდა შავი ღრუბლები.

დეპეშები გადმოგვცემენ, რომ ბულგარეთს სეპარატიული ზავი ჩამოუგდია მოკავშირეებთან. მისთვის მოუთხოვნიათ გერმანიასთან კავშირის გაწყვეტა და დაპირება, რომ სტამბოლის გზას შეჰკრავს გერმანიისთვის. ამნაირად მსოფლიო ომში მებრძოლ სახელმწიფოთა ჯაჭვს ერთი რგოლი კიდევ გამოაკლდა. ჯერ დაეცა რუსეთი, ეხლა ბულგარეთი. ჩვენ ცნობები გვაქვს, რომ საქმე ისე არაა, რაგვარადაც ამას გვიხატავენ მოსკოვიდან მოსული დეპეშები. ის ზავი, რომელიც ბულგარეთს ჩამოუგდია, ერთი პარტიის ხელმძღვანელობით მომხდარა. მეფე ბულგარეთისა ამის წინააღმდეგი ყოფილა. ლაპარაკობენ ზავის კაბინეთის გადადგომას და ახალი მთავრობის შედგენას. მაგრამ ყველაზე ყურადსაღები ისაა, რომ უნგრეთის და გერმანელთა ჯარი უკვე მისულა ბულგარეთის ფრონტზე და ბრძოლა სწარმოებს.

ყოველ შემთხვევაში შესაძლებელია მდგომარეობის გართულება. ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყვნეთ დამოუკიდებლობის დასაცავად. შესაძლებელია ჩვენმა ისტორიულმა მტერმა ისევ მოინდომოს საქართველოს დაპყრობა, რადგან ამიერ-კავკასიის სხვა ნაწილები ფაქტიურად მის ხელშია და ჩვენ ლა ვართ განმარტოებულნი. ამიტომ ჩვენი დღევანდელი საზრუნავი ისევ და ისევ იარაღი, ჯარის შექმნაა. ყოველი ზომა, ყოველი ძალა უნდა ვიხმაროთ ამისათვის, რადგან საბედისწერო მომენტი გვიდგება. ჩვენ ვცოცხლობთ, ჩვენ უნდა ვიცოცხლოთ—აი, ჩვენი ფიქრი. ამიტომ მთავრობამ უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს ჯარის შექმნას. ხალხი ასე თუ ისე გამოფხიზლებულია და ჯარშიაც მოდის. საჭიროა მხოლოდ მტკიცე მისი ორგანიზაცია და მოვლა. მთავრობამ უნდა იდვას ეს კისრად და შეგნებული საქართველო მას დაეხმარება.

ეროვნული საბჭო

(დასასრული.)

თ. კიკვაძე (ს. დ.) თუ არ ვცდები, დღეს მესამე დღეა რაც ამ შეკითხვის შესახებ ვმსჯელობთ. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ძლიერ დიდ დროს გვაკარგვინებს და ნაყოფიერ მუშაობაში ხელს გვიშლის ასეთი დაუსაბუთებელი შეკითხვები ამ მემარჯვენეებს რომ სჩვევიათ სოციალ-დემოკრატები წინააღმდეგნი არ არიან შეკითხვის, რადგან თვითონ მათ შეჰქონდათ შეკითხვები სახელმწიფო სათათბიროში, მაგრამ ისინი იმით განსხვავდებოდა რომ დასაბუთებული და დამუშავებული იყო. ახმეტელმა აქ რიხიანად განაცხადა, სასურსათო სამინისტროში დიდი პანამაა, მაგრამ ეს რასაკვირველია, არ დაუმტკიცებია. მას ამ დაუსაბუთებელ ბრალდებისათვის მინისტრმა გასცა პასუხი და დაარღვია. აქედან აშკარაა, რომ ასეთი ხრიკი მემარჯვენეებს მხოლოდ დროს მოსაკლავადა აქვთ შეთვისებული. სოციალ-დემოკრ. ფრაქციის სახელით უნდა განვაცხადო, რომ ყოველგვარი მსგავსი ბოროტ-მოქმედება სასტიკად უნდა დაისაჯოს. ფრაქციას აზრადა აქვს ამ დღეებში ამის შესახებ კანონი შემოიტანოს ეროვნულ საბჭოში. ეს კანონი უსასტიკეს საფუძველზეა დამყარებული; რომლის ძალითაც ყველა ასეთ დარგში ჩადენილ ბოროტ-მოქმედებისათვის სიკვდილით დასჯისა და ქონების კონფისკაციამდე უნდა დაისაჯოს. რაც შეეხება სასურსათო ორგანიზაციისადმი უკმაყოფილებას, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ იმ დროს გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა, როცა ჩვენში ძველი სარჩო გამოლეული იყო, ხოლო ახალი არსაიდან შემოდიოდა და არც გზა იყო სადმე. სურსათის საკითხი უბრალო საკითხი როდია. მან დაამხო რუსეთის თვითმპყრობელობა და თვით რევოლიუციასაც მანვე ჩასცა გულში მახვილი.

ჩვენს სასურსათო სამინისტროს თავის წინაპარმა დაწესებულებებმა არაფერი დაუტოვეს შაქრის მეტი. ამავე დროს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხე დამშეული იყო და დეპეშას დეპეშაზე გზავნიდნენ: მოგვაშველეთ სურსათი, თორემ ვიღუპებითო. მთავრობა ავალებდა სასურსათო სამინისტროს გამოენახა საშუალება უბედურებათა თავიდან ასაცილებლად. აი, ამ პირობებში უხდებოდა სასურსათო სამინისტროს იმ ხელშეკრულებათა დადება, რომელსაც ახმეტელი ასე ებრძვის.

ორატორი დაწვრილებით ეხება და არჩევს იმ წინადადებას და ხელშეკრულებებს, რომელიც სამინისტროს დაუ-

დვია სხვა და სხვა პირებთან. აღნიშნავს აგრედვე ახმეტელის შეკითხვამდე დანიშნულ რევიზიას ამ სამინისტროში და იმ ხელშეკრულებათა მთავრობის მიერ განხილვას და განაგრძობს. მაშასადამე ის უმთავრესი ბრალდებანი, ვითომც მთავრობას ყურადღება არ მიექციოს ამ ხელშეკრულებათა საზარალო და სასარგებლო მხარეებისათვის, სიმართლეს არ შეიცავს. ჩვენ გადავიტანეთ მძიმე პოლიტიკური კრიზისი, ასე იქნება თუ ისე ამ სასურსათო კრიზისსაც თავს გავართმევთ. როცა ახმეტელმა გაიგო, რომ მთავრობამ ამ მხარეებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, მას თავის შეკითხვა უნდა მოეხსნა, მაგრამ მან ისარგებლა და ცეცხლზე ნავთის გადასხმა მოისურვა. ვიმეორებ, რომ ეს მხოლოდ ხელს გვიშლის. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, მთავრობის მიერ მიღებული ზომები და ახალი სასურსათო ორგანიზაცია გამოასწორებს საქმეს. შეიძლება დეფექტები ჰქონდეს სასურსათო სამინისტროს და მის რომელიმე აგენტს ბოროტ-მოქმედება ჩაედინოს, მაგრამ ვიმეორებ ახმეტელის ბრალდებაში ეს ფაქტები ცხად-ყოფილი არ არის. ამას რევიზია გამოარკვევს. რაც შეეხება იმ ჩვეულებას სახელმწიფო ქონების მითვისებისა და გატაცების შესახებ ამის გამო ამ მოკლე ხანში ჩვენი ფრაქცია შემოიტანს კანონს, რომელიც სასტიკად დასჯის ყველა ბოროტ-მოქმედს.

რ. გაბაშვილი. (დამ. ნ. დ.) კიკვაძე სასურსათო სამინისტროს დამცველად გამოვიდა და ისე დაგვისურათა, თითქოს ამ სამინისტრომ ყველაფერი რიგზე გააკეთა და ქებაც კი ეკუთვნის. წინა სხდომაზე კი თვით პრემიერ-მინისტრმა ნ. ჟორდანიამ აღიარა ამ სამინისტროს სისუსტე და არ ვიცი, ვის უფრო დაეჯერება, კიკვაძეს თუ ჟორდანიას. ბატონმა მინისტრმა ლორთქიფანიძემ აქ წინა კრებაზე ზღაპრები წაგვიკითხა იმის შესახებ, თუ როგორ ვერ შემოიტანა მან სურსათი. რასაკვირველია, დროსა და სივრცის გარეშე არაფერი ხდება და მინისტრსაც მიზეზები ექნებოდა, მაგრამ მან სიჩუმის მაგიერ მიზეზები ჩამოგვითვალა. სხვა ადგილას და სხვა გარემოებაში ამისთანა მინისტრზე იტყოდნენ, რომ იგი თავის თანამდებობის შესაფერი არ არის და უნდა გადადგეს, მას ორი დიდი თანამდებობა აბარია, არ ვიცი, რისთვის ჩააბარეს ასეთი პასუხსაგები საქმე. ხალხი ამბობს, გზები მიტომ ჩააბარეს, რომ საკუთარი გზები ვერ გამოუძებნიაო. აქ ახმეტელის შეკითხვას არსებითად არ შეხებიან. არავის დაურღვევია და ყველა შეეცადა მთავრობა და სურსათის მინისტრი ექო და მიზეზები ჩამოეთვალა.

პ. ქავთარაძე (ალიონელი) თუ აქ ჩვენს აზრსაც გამოვსთქვამთ მთავრობისა და ამ სამინისტროს შესახებ, დარწმუნებული ვარ მოღალატეობას და მთავრობის დახობისათვის ბრძოლას არ დაგვწამებენ. პირიქით, ჩვენ მთელის ძალღონით ამ მთავრობას დავეხმარებით და ვიტყვი აგრედვე, რომ ეს მთავრობა რომ არა გვყავდეს, ჩვენ ეხლა დალუპვის გზაზე ვიდგებოდით. მაგრამ ამავე დროს ჩვენ მოვითხოვთ, მთავრობას ჩამოსცილდნენ ის მავნე ელემენტები, რომელნიც მას გარს ეხვევიან, როგორც მუმლი მუხასა და დამხობას უქადიან მასაც და სახელმწიფოსაც, აქ ახმეტელის შეკითხვისთანა საბუთიანი არც ერთი შეკითხვა არა ყოფილა,—რადგან არც ერთი მისი დებულება არ დარღვეულა, ამის საუკეთესო დამადასტურებელი თვით მინისტრის სიტყვაა. სურსათის მინისტრმა ახმეტელისაგან იწყინა მის გამბედაობის მხილება აქ, რა თქმა უნდა, თვით პიროვნება არაფერ შუაშია და გამბედაობაც სწორედ მის მოღვაწეობას შეეხებოდა მთავრობამ სასურსათო საქმეთა რევიზიაში ისეთი პირი დანიშნა, რომელსაც ამ საქმეებთან მახლობელი კავშირი აქვს. რასაკვირველია ამ შემთხვევაში ობიექტიურად არ მოხდება რევიზია. საბუთების შესახებ: ხშირად თვით ისეთი პირები უწყობენ სპეკულიაციას ხელს, ვინც მის მოსასპობ ორგანოსა ჰხელმძღვანელობენ რასაკვირველია, ამისთანა ბრალდებათა დასამტკიცებლად წერილობითი საბუთებია საჭირო, მაგრამ მათ ძალიან კარგად იციან, თუ როგორ მოიქცნენ. აი, მაგალითად მე და ერთმა საბჭოს წევრმა ვიცით, რომ სასურსათო სამინისტროს ერთი რწმუნებული სპეკულიანტებს ეუბნებოდა: დამალეთ საქონელი, ჯერ ნუ—გამოაჩენთ და ფასები თავისით აიწევაო. მე ამას დოკუმენტით ვერ დავამტკიცებ, მაგრამ არ უნდა ვსთქვა? და ამისთანა შემთხვევაში, როგორც უნდა უმწიკლო იყოს მინისტრი და სამინისტრო, როგორ უნდა გაართვას თავი ამ საშინელ მდგომარეობას თუ ასი და ათასი ასეთი აგენტი ჰყავს? ამას წინად მინისტრი დაგვპირდა, ახალ სასურსათო კანონს წარმოგვიდგენდა. მოველოდით ჩვენც მაგრამ კანონი კი არ წარმოგვიდგინა, საბჭოს დამოუკიდებლად თურმე ახალი სასურსათო ორგანიზაცია შეიქმნა. ეს ორგანიზაცია, რა თქმა უნდა აუქმებს სასურსათო სამინისტროს. ამ რიგად ჩვენ ვერც კი გავიგეთ იმ ორგანიზაციისა, რომლის შესახებაც აქ ასეთი კამათი და ბრძოლა სწარმოებს.

ნ. ჟორდანია. სამწუხაროდ აქ არ არის მინისტრი ლორთქიფანიძე და ვერ მოვისმენთ იმ პასუხს მას რომ უნდა გაეცა. მე მხოლოდ რამოდენიმე სიტყვის თქმა მინდოდა დღევანდელ კამათის შესახებ. აქ ქავთარაძემ სთქვა, ახმეტელის შეკითხვა ერთად ერთი დასაბუთებული შეკითხვა იყო, რომელიც მინისტრმა და მთავრობის თავმჯდომარემ დაადასტურაო. მე მოგახსენეთ, რომ ახმეტელის ფაქტები ჩვენ წინადვე ვიცოდით და მის შეკითხვამდე გამოვიძიეთ ხოლო რაც ახალი ფაქტი წარმოადგინა, ის მართალი არ გამოდგა მეთქი. მაშასადამე მთელი დამსახურება ახმეტელისა იმაში გამოიხატა, რომ ჩვენი კანცელარიიდან საბჭოში გადმოიტანა ეს ცნობები, და თუ ეს მოსწონს და ახარებს ქავთარაძეს, ეს მისი გემოვნების საქმეა. მთავრობამ თვით აღიარა, რომ სურსათის საქმე რიგიანად ვერ არის მოწყობილი და თვითონ ვეძებთ ახალ გზებს და საშუალებებს. თქვენ კარგად იცით, რომ საქართველოს თავის პურით არასოდეს უცხოვრია. ომამდე და ომის შემდეგ მას სხვა პროვინციებიდან შემოჰქონდა პური. ეხლა კი ეს პროვინციები უცხოეთად გადაგვექცა და გზები შეიკრა—ამან კი საშუალება მოგვისპო სურსათის შემოტანისა. რა თქმა უნდა, არსებული ხელის შემშლელი პირობები რომ არ ყოფილიყო, პურიც გვექნებოდა და როდესაც გამოდიან ამის შემდეგ გვებრძვიან, არ ვიცი რითი ავხსნა. აქ ბევრი გვისაყვედურეს, რატომ მაზმანოვთან დასდეთ ხელშეკრულება და არა ხოშტარიასთანაო—ეს უმთავრესად იმიტომ—რომ მაზმანოვი სომეხია და ხოშტარია ქართველი, მაგრამ ქართველის ზარალი ზარალად არ უნდა მიგვეჩნია? აი მაზმანოვის ფირმისაგან ყუბანიდან დეპეშა მივიღე, იტყობინებიან, რამდენიმე ათასი ფუთი ხორბალი უკვე ნაყიდია და წამოსაღებად მზად არისო (კითხულობს დეპეშას) მხოლოდ პოლიტიკური დაბრკოლება გვიშლის ხელს, რადგან ყუბანის მთავრობა არ უშვებს ამ ხორბალს. ჩვენ უნდა დიპლომატიურის გზით მოვახერხოთ ამ პურის შემოტანა და მოველაპარაკოთ ყუბანის მთავრობას კანტროლის შესახებ: კანტროლიორად მე დავნიშნე ჯაფარიძე, ის ქუთაისის მოწარაგების კომიტეტში მსახურებდა და ჩვენ ყველანი მას ვიცნობდით სასტიკ და გამოცდილ პირად. ის ავად გახდა და მიტომ გამოვცვალე. და სანამ დამტკიცებულია, რომ ის ისეთი პირია, როგორც ჩვენა გვყავს წარმოდგენილი მანამდე მას ვენდობი. რაც შეეხება თავისუფალ ვაჭრობას, მართალია, მან სასურველი ნაყოფი ვერ მოიტანა. ამიტომ თუ მოკლე ხანში ყუბანიდან და სხვა ადგილებიდან პური ვერ შემოვიტანეთ, საშინაო პოლიტიკა, უნდა შევცვალოთ, თავისუფალი ვაჭრობა მოვსპოთ და შინაურ პურს მოუყაროთ თავი. ჩვენ ვცადეთ ახალი საშუალება, შევადგინეთ ახალი სასურსათო ორგანიზაცია, სადაც ყველა ორგანოთა წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ეს ორგანო უკვე შესდგა და დაიწყებს მუშაობას. მთავრობასთან მხოლოდ თავმჯდომარის საკითხში ვერ შეთანხმდა მაგრამ ეს საკითხი ამ დღეებში გამოირკვევა. ამ ორგანიზაციის კანონი საბჭოს მიტომ არ წარმოუდგინეთ რომ ჩვენ არ ვიცით, ეს ორგანო უკანასკნელი საშუალება იქნება თუ არა ჩვენი სურსათის საქმის მოგვარებისათვის. აი, ასეთი გახლავთ საქმის მდგომარეობა და როცა ამის შემდეგ შეკითხვები შემოაქვთ და ვითომდა გვებრძვიან, ჩვენ კი არ გვებრძვიან არამედ ქარის წისქვილებს. საზოგადოდ მე დავინახე მემარჯვენეთა ჯგუფს მხოლოდ შეკითხვა ემარჯვება და მისი გაკეთებული კი არაფერი სჩანს.

თავმჯდომარე. გნებავთ კრება გაგრძელდეს?

ი. მაჭავარიანი (ნ.-დ.) მოითხოვს ამ რთულ საკითხის გადასაჭრელად ცალკე განსაკუთრებული კრება დაინიშნოს

ი. წერეთელი. წინააღმდეგია ცალკე კრების დანიშვნისა და მოითხოვს: რადგან ყველამ თავისი აზრი გამოსთქვა და მთავრობამაც პასუხი გასცა, დღესვე დავასრულოთ ეს საკითხიო. კენჭისყრით სწყდება კრების გაგრძელება ხოლო ორატორებს ათი წუთით ეძლევათ ლაპარაკის ნება

აკაკი პაპავა (სოც.-ფედ.) ბ. შემკითხველმა სასურსათო საკითხი დააყენა მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ გაეშალა ეს დიდი და რთული პრობლემა, სურსათის მოგვარებისა, მან საკითხი სულ მთლად დააწვრილმანა და უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულება გარდაავქცია იურისტკონსულტების კომისიად, და ჩვენ პარლამენტებში კონტრაქტებს ვარჩევთ და ვარკვევთ, რომელ კონტრაგენტისთვის არის საზარალო ესა თუ ის ხელშეკრულება ბ ახმეტელს, რომ რაიმე გეგმა წარმოედგინა ჩვენთვის სასურსათო კრიზისის მოსავლელად ამით ბევრად მეტ სამსახურს გაუწევდა როგორც ჩვენ მთავრობას, ისე ეროვნულ საბჭოსაც, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა, მისმა თანამოაზრეებმა კი ეს საკითხი უფრო დააქვეითეს და რთულ, მძიმე პრობლემის გადაჭრას უკავშირეს მთავრობის ამა თუ იმ წევრის წინააღმდეგ ბრძოლას. ბ. გაბაშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მინისტრი ლორთქიფანიძე ყოვლად შეუფერებელია და თითქოს აქედან მოდის მთელი უბედურება ჩვენი ქვეყნისა. მთავრობა კი ასე უბრალოდ არ უდგება ამ კითხვას, თორემ აქამდა მას სულ ადვილად მოაგვარებდა. ბოლოს და ბოლოს გამოდის, რომ ამ კრიზისშიც ბრალი ჩვენს მთავრობას ედება, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ კითხვას ყოველმხრივ უვლის და მასზე ზრუნავს. მგონია საქმეს თუ სერიოზულად შევხედავთ, ვნახავთ, რომ აქ მთავრობა არაფერ შუაშია და ამ კრიზისს აქვს თავისი ღრმა მიზეზი, რის წინააღმდეგ დღეს ყველანი უნიათო ვიქნებით. კრიზისის საკითხი დღეს არ დასმულა, იგი შექმნა რუსეთის ჯერ კიდევ მონარქიულმა სისტემამ, რომელმაც ომის ხარჯები თანაბრად ვერ გაანაწილა. ნაციონალურ სიმდიდრეს ყლაპავდა ომი რუსეთში და კერძოდ საქართველოშიც და ეს სიმდიდრე ხელახლა ამდენივე ვერ იქმნებოდა, აქედან ყოველი საქონელი შემცირდა ბაზარზე, მაშასადამე გაძვირდა კიდეც და აქედან წარმოიშვა ფულის ფასის დაცემა—საფინანსო კრიზისი; ჯანსაღი სისტემა არ არსებობდა და ქაღალდის ფულების ბეჭდვით ხელოვნურად ივსებოდა ცარიელი ადგილი ნაციონალურ სიმდიდრისა ასეთი მემკვიდრეობა გადმოვიდა საქართველოზე; ეს სწორედ ეკლის გვირგვინი იყო დამოუკიდებელ საქართველოსთვის, მაგრამ ჩვენ კიდევ უარეს მდგომარეობაში ჩავდექით ობიექტიური პირობების გამო: გვიხდებოდა ახალ სახელმწიფოს შექმნა. ყველაფრის თავიდან მოწყობა და აპარატი წინანდელი სრულიად მოშლილი იყო, ამიტომ ჩვენ იმასაც კი ვერ მოვახერხებდით, რაც შესძლო რუსეთის მთავრობამ: გადასახადების აკრეფა და შინაური სესხის განაღდება. მაშასადამე ერთად ერთი გზა ბონების ჩქარი ბეჭდვა შეიქნა და აქედან უფრო იზრდება საფინანსო კრიზისი, საქონელი კი უფრო და უფრო კლებულობს ბაზარზე და ცხადია სურსათზე ფასი საზღაპროდ იზრდება. რა გამოსავალი არის აქედან? ერთად ერთი, რომელიც მთავრობამ პოვა და რომლისკენაც დიდი ყურადღება მიაპყრო, ეს არის პურის,ფასების ამ მთავარ რეგულიატორის, შემოტანა უცხოეთიდან. რაფი პური ფულის ფასს ასწევს და ცხოვრება შედარებით გაიაფდება. და მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბ. ახმეტელისაგან დაწუნებულ „კომერსანტს“ უკვე უშოვია დიდძალი პური, რომელიც ფოთში მოტანილი ჯდება 15--18 მანეთად ეხლა მთელი ცდა მთავრობამ ამას მიაპყრო, რომ როგორმე შესძლოს ყუბანის მთავრობასთან შეთანხმება, რათა ეს პური დ გვანებონ გამოსატანად.

ასეთია მთავრობის გზა რომელიც ერთად ერთია ამ შემთხვევაში. რაც შეეხება სხვა და სხვა სახის ბოროტმოქმედებათ, ჯერ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, მე არ ვკისრულობ სასურსათო სამ. მოხელეების დაცვას, შეიძლება ბევრში მართალიც იყოს ახმეტელი, ამას რევიზია გვიჩვენებს, რომელიც მთავრობამ უკვე დანიშნა და ბოროტ-მომქმედთ სდევნის—ციხეში აჯენს, მაგრამ არც ასე შეიძლება მსჯელობა, შეიძლება განსაკუთრებული პირობები ხშირად აიძულებდა სამინისტროს არა ხელსაყრელი კონტრაქტება დაედო. როცა მას ატყობინებენ—ხალხი სიმშილით სწყდება, მოსალოდნელია ამბოხება და ექსცესები, მას უფლება არ ჰქონდა ერთად ერთი გზა პურის შოვნისა უარეყო მარტო იმისათვის, რომ ხელშეკრულება ხაზინისათვის, სასარგებლო არ იყო. ამ დროს უმოქმედობა უფრო მეტი დანაშაული იქნებოდა სამინისტროსი. ეს პირობები შემკითხველმა ხელიდან არ უნდა გაუშვას.

აკაკი ფაღავა (ს.-ფ.) ფაღავას სიტყვას ხვალ დავბეჭდავთ.

ფარნიაშვილი (ს.-დ.) ეხება ნაციონალ-დემოკრატების ჩვეულებას შეკითხვების შესახებ და ამბობს, მათი შეკითხვები იმდენად უსაფუძვლოა, რომ თვითვე შემოეფანტებიან ხოლმე თავიანთ აღძრულ საკითხს დაცვის დროსაო. მათ თქმა უნდათ, მაგრამ გარკვე-

აწმყო და მომავალი

ფიქრები

სახელმწიფოებრივი საალმშენებლო მუშაობისთვის კეთილი სურვილი და კარგი პრინციპები არა კმარა. საჭიროა აგრედვე ერთგვარი პრაქტიკული გამოცდილება და ამასთანავე ერთად სათანადო ფსიქიკის შექმნა მართველ წრეებში. მე, რასაკვირველია ძალიან შორსა ვარ იმ აზრისგან, რომ ეხლანდელ მთავრობას ვერ შეუძლიან შექმნას სასახელმწიფოებრივობა ჩვენში მარტო იმიტომ, რომ იგი სოციალისტურია. ჩვენში საზოგადოდ არ მოიპოვება არც ერთი ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფი, რომელსაც უფლება ჰქონდეს თამამად სთქვას, მომზადებული ვარ სახელმწიფოებრივი, და საალმშენებლო მუშაობისათვის და ამიტომ მართვაგამგეობა მე უნდა ჩამაბაროთო. ასეთი პრეტენზიები მხოლოდ ნაციონალ-დემოკრატებსა აქვთ და ისიც უმეტეს წილად იმ მემარჯვენე ფრთას რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად ნაციონალ დემოკრატებს გამოეყო. ეს არც გასაკვირველია. ქართველი ხალხი, ყოველ შემთხვევაში მისი საუკეთესო, პოლიტიკურად მოაზროვნე ელემენტი ყოველთვის ოცნებობდა განთავისუფლებაზე, მაგრამ პრაქტიკულად მას მაინც არასოდეს არ უმუშავნია სახელმწიფოებრივ სფეროში. თვითმოქმედების ასპარეზად ქართველ საზოგადოებას ძალიან ხშირად მარტო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ჰქონდა დარჩენილი და მისი საზოგადო კრებებიც საზოგადოებრივი ენერგიის სავარჯიშო ასპარეზად იყო ხოლმე გადაქცეული. ამნაირ ვიწრო ჩარჩოებში მოქცეულ ენერგიას როგორ უნდა ევარჯიშნა და როგორ უნდა მიეღო სათანადო და სახელმწიფოებრივი საქმისათვის გამოსადეგი გამოცდილება?

მიუხედავად ამისა, თუ ჩვენში არის ელემენტი, რომელსაც შეუძლიან სახელმწიფოს აშენება, ეს ისევ ის ელემენტია, რომელიც თავიდანვე პოლიტიკურად იბრძოდა ცხოვრების უკეთეს პირობებისთვის და რომლის მოქმედებაც გაუწყვეტელი დუღილი იყო, მისწრაფება პოლიტიკური ცხოვრების გაუმჯობესებისკენ. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ელემენტი იყო სოციალისტური და დემოკრატიული ელემენტი, რომელმაც თავის ზურგით გამოიყვანა ხალხი საზოგადო პოლიტიკური ცნობიერების გზაზე.

ჩვენ არც იმის თქმა შეგვიძლიან, თითქოს სარევოლიუციო დემოკრატიამ ვერ მოახერხა იმ მძიმე ტვირთის ტარება, რომელიც ისტორიამ დააკისრა. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ორი რამ მაინც მის ისტორიულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. მან საქართველო გადაარჩინა ანარქისტულ რღვევა-ნგრევასა და ოსმალეთის შემოსევას; მან შეგვინარჩუნა დემოკრატიული წესწყობილება და მოგვცა საქართველოს დამოუკიდებლობა. ერთი ისტორიული რგოლის ას ბრწყინვალედ დაგვირგვინების მეტს ვერას მოვთხოვთ ერის თაობას და ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ შთამომავლობა ამითაც ძალიან მადლიერი იქნება.

ძალიან ბევრი ნაკლი დაჰყვა თან ჩვენს დამოუკიდებლობას ცხოვრება მოუწყობელია; სახელმწიფოებრივი აპარატი ყველგან ისე არა მუშაობს, როგორც ჩვენ გვინდა. მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, თითქოს ჩვენი ცხოვრება ერთს წერტილზე იყოს გაყინული და ახლად შობილი, ფენიქსისებს აღდგენილი საქართველო განახლების გზას არ ადგეს.

მაგრამ თუ გვინდა ჩვენმა შრომამ უკეთესი ნაყოფი გამოიღოს, თუ გვინდა ჩვენი სახელმწიფოებრიობა საბოლოოდ მტკიცე ნიადაგზე დადგეს, საჭიროა გადასინჯულ იქმნას ზოგიერთი მხარეები მართვა-გამგეობის მოვალეობისა და მოშორებულ იქმნას ჩვეულებანი, რომელნიც ძველი წეს-წყობილების ნგრევის დროს კარგები იყვნენ, საალმშენებლო მუშაობისთვის კი ყოვლად გამოუსადეგარნი არიან. უპირველესად ყოვლისა საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის საჭიროა განმტკიცება როგორც საგარეო მდგომარეობისა, ისე შინაური წეს-წყობილებისა. ვერც ერთის და ვერც მეორეს მხრით ჩვენ ჩვენს თავს დამშვიდებელადა და უზრუნველყოფილად ვერ ჩავსთვლით. თუ ეს ასეა, მაშინ ყოველივე ისეთი ზომა, რომელიც თავისი შინაგანი თვისებით ექსპერიმენტს წააგავს, თავიდან უნდა ავიცილოთ და უკვე ნაცადი, მრავალჯერ ნაცადი საშუალებებით განვამტკიცოთ ჩვენი დამოუკიდებლობა.

ამ მხრით კი ჩვენს მთავრობას ხშირად წინ ეღობება ხოლმე არა იმდენად ობიექტური დაბრკოლება, რამდენადაც თავისი შინაგანი, სარევოლიუციო ნგრევის პროცესში აღზრდილი ბუნება. ეხლანდელ მთავრობას ფესვები ისევ რევოლიუციაში აქვს გამდგარი. მიჰმართავს იმავ მეთოდებს, რომლებსაც იგი მიჰმართავდა ძველი წეს წყობილების დასანგრევად და ხშირად თითქოს ავიწყდება, რომ ძველი წეს-წყობილება აღარ არის, რომ ეხლა იგი თითონ არის ქვეყნის ბატონი და პატრონი.

ჩვენ კი გვგონია, რომ დროა ამ ორმაგობას სახელმწიფოებრივ შემოქმედებით მუშაობას ბოლო მოეღოს. დროა პრაქტიკული მუშაობა მთავრობისა მხოლოდ ერთი სახელმწიფოებრივი საალმაშენებლო მიზნით განისაზღვროს და ჩამოშორდეს მას ყველაფერი ისეთი, რაც ეხლანდელ პოლიტიკურ კონიუნქტურაში უკვე ერთგვარ ანაქრონიზმად უნდა ჩაითვალოს შინაგან საქმეთა მინისტრს ბ-ნ ნოე რამიშვილს ეროვნულ საბჭოს ტრიბუნიდან არა ერთხელ უთქვამს, მთავრობის მიზანი არის და უნდა იყოს ნორმალური ცხოვრების დამყარებაო. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა ცხოვრებამ ერთი ფაზისი უკვე განვლო, რევოლიუციამ მოსპო ძველი წეს-წყობილება და ეხლა უნდა დაიწყოს დადებითი, შემოქმედებითი მუშაობა იმის განსამტკიცებლად, რაც რევოლიუციამ გვიანდერძა რევოლიუციის ნაანდერძევის განაღდებას საქართველოს ეხლანდელი მესვეურნი, რა თქმა უნდა, ვერავის ანდობენ თუნდაც იმ უბრალო მოსაზრებით, რომ მემკვიდრეობა უპირველესად ყოვლისა თვით ანდერძი არ გააბათილონ; მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ თვით რევოლიუციაში შობილმა მთავრობამ ანგარიში არ გაუწიოს შექმნილ მდგომარეობას და უპირველესად ყოვლისა თითონ არ გაინთავისუფლოს თავი რევოლიუციის იმნაირი ანდერძისაგან, რომელიც საალმშენებლო სახელმწიფოებრივ მუშაობას ხელს უშლის.

პირველი და უდიდესი ნაკლი ამ მხრით ის არის, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი საალმშენებლო მუშაობა კვლავ პარტიული დროშის ძლიერი გავლენის ქვეშ სწარმოებს. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკმარისია გავიხსენოთ სოც.-დემოკრატებისა და სოციალისტ-ფედერალისტების დამოკიდებულება. საქართველოს უმაღლეს დაწესებულებაში,—ეროვნულ საბჭოში—და მთავრობაშიაც ამ ორი პარტიის შორის თითქმის სრული კონტაქტი არსებობს. მაგრამ პროვინციაში, იქ სადაც კონტაქტი არა ნაკლებ არის საჭირო, ჩვენ კვლავა ვხედავთ ერთმანეთის გაუტანლობას. ადმინისტრაციაში გაბატონებულია ტენდენცია პარტიული დროშით სიარულისა. ეს ალბად, იმით აიხსნება, რომ ადმინისტრაციული აპარატი მიჩნეულია ხალხზე გაბატონების საშუალებად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ადმინისტრაციული აპარატი, როგორც ნაწილი სახელმწიფოებრივი მექანიზმისა, სრულიად ნეიტრალური უნდა იყოს და პოლიტიკური ცხოვრების ქარცეცხლი მას სრულიად არ უნდა აქანებდეს აქეთ-იქით. იგი სახელმწიფოებრივი მთელის განუყოფელ ნაწილს უნდა შეადგენდეს და პოლიტიკური ამინდი მასზე ისევე არ უნდა ახდენდეს გავლენას, როგორც თვით სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებაზე. დღევანდელ პირობებში კი, როდესაც ადმინისტრატორი პასუხს აგებს არა სახელმწიფოს, არამედ პარტიის წინაშე, როდესაც იგი ანგარიშს უწევს არა იმას, თუ რას ავალებს მას კანონი ან სახელ-

ვით ვერ უთქვამთ რომ მთავრობა არ ვარგაო.

ნ. ჟორდანია და პ. ქავთარაძე განმარტავენ ჯაფარიძის შესახებ ნათქვამ გაუგებრობას და კამათი სრულდება. თავმჯდომარე კენჭს უყრის ორ რეზოლიუციას. კენჭის ყრით მიღებულია სოც. დემ. რეზოლიუცია.

რეზოლიუცია.

მოისმინა რა შეკითხვა სურსათის საქმის შესახებ მთავრობის პასუხი, საქართველოს ეროვნული საბჭო აღნიშნავს, რომ მთავრობას თავის ინიციატივით მიუღია ჯეროვანი ზომები და დაუნიშნავს რევიზია სასურსათო საქმის რესპუბლიკის და ხალხის ინტერესების დასაცავად დარწმუნებული, რომ მთავრობა მთელის თავის ძალით განახორციელებს მის მიერ აღნიშნულ ზომებს ამ დარგში გამეფებულ ბოროტების ასალაგმავად, უცხადებს მას ნდობას და გადადის სხვა საკითხებზე.

კრება ხუთის ნახევარზე იშლება

ომის დეპეშები

დასავლეთის ფრონტი

ლიონი (მოსკოვის ც. ალმ. ქ. ცნობა). ფლანდრიაში ბელგიელებმა დაიკავეს დიქსმიუდე და პასშენდელე. ინგლისელებმა მესინო აიღეს. დუე-კამბრესენ-კანტერის ფრონტზე ინგლისის ჯარი წინ მიდის ინგლისელებმა მიაღწიეს დუე-კამბრეს გზას და გადალახეს შელდას არხი. შამპანში არგონის აღმოსავლეთით ამერიკელებმა გერმანელთა იერიშები მოიგერიეს.

შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ იაპონური გაზეთი „ძიძი-ნიპონ“ სწერს: ყოფილმა პრეზიდენტმა (გვ რი დამახინჯებულია) სთქვა, რომ თუ იაპონიის, ჩინეთის, და ამერიკის ჯარები ციმბირში გაიგზავნა, მთავარი სარდლობა ამერიკას უნდა ეკუთვნოდესო. რა უაზრო იდეაა? ამერიკამ, როგორც სწერენ, ნახევარი მილიონი ჯარი გაგზავნა დასავლეთის ფრონტზე, ამათში მხოლოდ 20 ათასს შეუძლიან ბრძოლა, ახლო მომავალში საფრანგეთში იქნება 800,000—1.000000 ამერიკელი ამის და მიუხედავად ფრონტზე. შეიძლება გამოიგზავნოს მხოლოდ 40—50 ათასი კაცი. განა შეიძლება ასეთი... ლაშქრის პატრონს მთავარ-სარდლობა მიენდოს? ოჰ, რა სულელი არიან ამერიკელები

ზავის [illegible]

ბერლინი. 9—30. ბულგარეთმა სეპარატიული ზავი შეკრა შეთანხმების სახელმწიფოებთან იმ პირობით, რომ ბულგარეთმა საბოლოოდ გასწყვიტოს კავშირი გერმანიასთან და კერძოდ, ოსმალეთთან კავშირსაც წინააღმდეგობა გაუწიოს.

„ფოსიშე ცაიტუნგი“ იუწყება, რომ ბულგარეთის წინადადება ომში დამარცხების შედეგი არ იყო, არამედ სოციალური ბრძოლის შედეგი რუსეთიდან ბოლშევიზმის ზედგავლენით შემოტანილი. გერმანიის პრესა მოითხოვს დაუყონებლივ იქმნას აღებული ბულგარეთი და სტამბოლის გზაც დაცული.

ბერლინი. გენერალ ეპრემ (?) და ბულგარეთის რწმუნებულებმა ხელიმოაწერეს დროებით ზავს. მიიღეს მოკავშირეთა პირობები. საომარი მოქმედება შესწყდა.

სტოკჰოლმი. პარიზის გაზეთებში ცნობაა, ცენზურის მიერ გაშვებული, რომ ბულგარეთის საკითხი შეთანხმების სახელმწიფოთა სამხედრო საბჭოში განიხილეს.

ბულგარეთის საქმეების მცოდნე პირი „ნორდ დეიტშე ალგემაინე ცაიტუნგში“ სწერს. „სკეპტიკურად უნდა შევხვდეთ იმ ხმებს, სეპარტიულ ზავზე რომ იყო გავრცელებული შეთანხმების სახელმწიფოთა პრესაში. ეხლანდელ წინადადებას არავითარი კავშირი არა აქვს იმ ხმებთან. რომ პარლამენტიორის გვარებიდან სჩანს, რომ ეს უმნიშვნელო პარტიის საქმეა. გაგზავნილი დელეგაცია არას შემთხვევაში არ ჩაითვლება ყველა ბულგარელ პორტიის წარმომადგენლად. ლეგალურ მთავრობისა და ბულგარულ ერის წარმომადგენლად რომ არ ჩაითვლება, ამაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ბულგარელი პატრიოტები მოიგონებენ 913 წელს, თუ ისინი შეთანხმების სახელმწიფოებს ენდობიან

მნიშვნელოვანია გერმანიის გავლენიანი პარტიის განცხადება, რომ გერმანიისა და ავსტრო ჰუნგრეთის ჯარი ბულგარელ ამხანაგებს მიეშველება რაც ამ ოთხი წლის განმავლობაში იყო სისხლით მოპოვებული, ხელიდან არ უნდა გაუშვათ თუ ხალხისა და ლაშქრის ელემენტები შეერთდებიან, შეგვიძლია ისეთ კავშირს მივაღწიოთ რომელიც თავის სიმტკიცით და ძალით უწინდელ კავშირზე უკეთესი იქნება.

უცხოეთი

რუსეთში.

ინგლისური პრესის ცნობა. 9—29. საბჭოთა მთავრობის უკანასკნელი დეკრეტი ბურჟუაზიულ კლასს მძიმე გადასახადებს ადებს და ლამობს მის სრულ განადგურებას, როგორც მავნე ელემენტისა. ეს დეკრეტი ყველა იმას აღემატება, რაც ბოლშევიკებმა ჩაიდინეს პეტროგრადსა და მოსკოვში. მრავალია დახვრეტილი...(დამახინჯებულია) [illegible] ძველი რეჟიმის უკანასკნელი მინისტრები შჩეგლოვიტოვი, კოკოვცევი, პროტოპოპოვი, მაკლაკოვი და სხვები სამსჯავროს წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ, რომ მთელი ქვეყნისთვის, ემხილათ ყოფილი მთავრობის ყველა საიდუმლოება. მიუხედავად ამისა საპყრობილიდან პეტრეს პარკში წაიყვანეს, სადაც ისინი მეზღვაურებმა დახვრიტეს. გადმოგვცემენ, რომ მშვენივრად განათებულ პარკში მუდამ მზად არიან ჯარის კაცები, რომ საპყრობილედან მოყვანილები დახვრიტონ. პროვინციაში ქალებსა ხვრეტენ. გამეფებულია ტერორი, ყველაფერი კანკალებს და სდუმს (დამახინჯებულია).

რუმინიაში.

გერმანიისა და ავსტრო-ჰუნგრეთის გაზეთებს ბაზელიდან ატყობინებენ: რუმინიაში სამწუხარო ამბებს აქვთ ადგილი ბუქარეშტის ხელშეკრულების გამო როგორი განწყობილებაა რუმინიაში, არ ვიცით. ხალხი აღფრთოვანებულია შეთანხმების სახელმწიფოთა გამარჯვებით და ახლად უწევს წინააღმდეგობას უცხოელებს, რომელთაც მათი ქვეყანა დაიკავეს.

მეფე ალბერტის მოწოდება.

ჰავრი. ვიდრე ბელგიის ჯარი გერმანელთა პოზიციებზე იერიშებს მიიტანდა, მეფე ალბერტმა შემდეგი მოწოდებით მიმართა ჯარის კაცებს; „ჯარისკაცებო! გაბედულად მიიტანეთ იერიში მტრის პოზიციებზე. ფრანგ-ინგლისელ ამხანაგებთან ერთად უნდა განდევნოთ თქვენი ქვეყნის დამპყრობელები, რომელთა უღელ ქვეშ 4 წლის განმავლობაში სულს ჰლაფავენ თქვენი ძმები დადგა უკანასკნელი ჟამი. გერმანელები ყველგან იხევენ ჯარის კაცებო! გახდით ღირსეული დამცველები ჩვენი წმიდათა-წმიდის, დამოუკიდებლობის,—ჩვენი ტრადიციებისა და ერის. წინ! ბელგიის თავისუფლებისა და დიდებისათვის!“.

გერმანიაში.

ბერლინი. 9—30. ჰერტლინგის გადადგომაზე დასთანხმდნენ. მინისტრ ფონ-ჰინტცეს მიანდვეს პარტიებს მოელაპარაკოს, ვითარცა იმპერატორის რწმუნებლი.

„ნაციონალ-ლიბერალე-კორესპონდენტი“ მოითხოვს დაუყონებლივ იქმნას გატარებული საარჩევნო რეფორმა.

კოპენჰაგენი. 9—30. ინგლისის გემთა საამშენებლო ქარხნებში გაფიცვები გრძელდება.

ახალი ამბავი

◆ **სოჭი.** მთავრობამ სოჭიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: „სექტემბრის 30-ს სოჭში შესდგა ქართველთა მრავალრიცხოვანი კრება, ქარ. ერ. საბჭოს ინიციატივით. კრებაზე გარჩეულ იქმნა წინადადება საქართველოს წარმომადგენელთა გეგეჭკორის და გენ. მაზნიაშვილის ერთის მხრივ და ყუბანის მთავრობის და მოხალისეთა რაზმის წარმომადგენელთა მეორეს მხრივ მოლაპარაკების შესახებ. გაეცნო რა კრება მოლაპარაკების შედეგს და გამოარკვია საქმის ნამდვილი მდგომარეობა, კრებამ დაადგინა მიმართოს ეროვნულ საბჭოს და რესპუბლიკის მთავრობას შემდეგი პეტიციით: ქართველ მცხოვრებთ სწამთ თავისი რესპუბლიკის ძალა და მიიღებს ყოველ ღონისძიებას რესპუბლიკის დასაცავად. ვინაიდან ალექსეევის მოხალისეთა რაზმი, რომელმაც დაიპყრო სოჭის ოლქი, მუდმივი მტერი იქნება საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა. ეს პეტიცია მიღებულ იქმნა ერთხმად. ამგვარად უნდა მოხდეს სხვა ეროვნებათა მოქალაქეების კრებები სოჭის რაიონში.

◆ **ქართული ლატარია.** გზათა ოლქის მოსამსახურეთა კორპორაციამ ნაღდ ფულად შეიძინა ლატარიის ბილეთები და კიდევ დაიკვეთა.

— ხონის ქალაქის თავმა ივ. ჭავჭანიძემ უყიდა ხონსა და მის ახლო მახლო რაიონს 2,000 ბილეთი სულ 5 ათასი მანეთის.

— ქუთაისში ბილეთებით საჯარო ვაჭრობის მომწყობ კომისიაში არჩეულ იქმნა დამსახურებული მსახიობი ვასო აბაშიძე რომელიც ამ დღეებში მიემგზავრება.

— დუშეთის მაზრაში ბილეთების გავრცელება იკისრა ნაფიც ვექილმა დ. ზ. ჭიაბრიშვილმა.

◆ **ხელოვნება.** ქართველ მსახიობთა კავშირმა რწმუნებულებად იმ კომისიაში, რომელიც დანიშნულია ქართულ წარმოდგენების გამართვისათვის სახელმწიფო თეატრში აირჩია: ვასო აბაშიძე, შ. დადიანი და ალ. იმედაშვილი.

◆ **სატერმინოლოგიო კომისიის სხდომა.** დღეს, ოქტომბრის 4 ს, შუადღის 12 საათზე შესდგება გზათა სამინისტროს ბინაზე აქვე სამინისტროსთან არსებულ სატერმინოლოგიო კომისიის სხდომა, რომელზედაც მოწვეულ არიან სახაზინო და კახეთის რკინის გზათა წარმომადგენელნი. კრება დაასრულებს ცალკე განყოფილებათა სატერმინოლოგიო მასალათა განხილვას, რის შემდეგ უნდა მოხდეს მიღებულ და განხილულ მასალის საბოლოო დადასტურება ქართულ ენის სპეციალისტთა თანადასწრებით.

◆ **ფოთიდან** ქალაქის თავი ალ. კორძაია მთავრობას დეპეშით ატყობინებს: ნავთსადგურის კომენდანტმა — გერმანელმა ქალაქს ჩამოართვა ყველა სახაზინო და ქალაქის გემი. ყველგან გერმანელი დარაჯები დააყენა ნავთსადგურში და სახაზინო ქონების საწყობებში. ქალაქის თავი მოითხოვს ამ საქმის გამორკვევას და აგრეთვე, რომ გააგებინონ, როგორ მოიქცეს ამ შემთხვევაში.

◆ **ნახშირის დამუშავება ტყიბულში.** გზათა სამინისტროში ყოველ დღე მოდის ცნობები ტყიბულში ნახშირის შეძენის რაოდენობისა. ამ ცნობებში აღნიშნულია, რომ ყოველ დღე სხვა და სხვა სადგურებზე იგზავნება 20 ვაგონი მსხვილი ნახშირი, 1—2 შუათანა და 20 ვაგონი წვრილი ნახშირისა.

◆ **ყოფილი დიდი მთავრის სამკითხველო** გარეშე საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა საქართველოს სამხედრო წარმომადგენელს ბათომში, გამოარკვიოს საკითხი აბასთუმნიდან ბათომში ყოფილ დიდი მთავრის გიორგი ალექსანდრეს-ძის სამკითხველოს გადმოტანისა.

◆ **უწესოება რკინის გზის სადგურებზე.** რკინის გზის მილიციის უფროსი ეპიტაშვილი დეპეშით ატყობინებს გზათა მინისტრს, რომ სხვა და სხვა სადგურებიდან მოდის საჩივრები სასურსათო სამინისტროს რაზმის მოქმედებაზე. რაზმელები ერევიან რკინის გზის აგენტების საქმეში და ანგარიშს არ უწევენ რკ. გზის კანონებს; ზოგჯერ ძალასაც კი ხმარობენ; მაგალითად ოქტომბრის 1-ს რაზმელებმა ერთ სადგურის მეისრეს სცემეს. მილიციის უფროსი სთხოვს გზათა მინისტრს განკარგულება მოახდინოს, რომ რკინის გზის საქმეში გარეშე პირი არ ჩაერიოს, აგრეთვე დაცულ იქმნან რკინის გზის მოსამსახურენი ძალადობისაგან.

◆ **ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოებასთან** არსებულ სატერმინოლოგიო სექციის კრება დანიშნულია ხუთშაბათს, ოქტომბრის, 3 საღამოს 8 საათზე მელიქიშვილის სავადმყოფოში, ქსენიას ქუჩა, სახლი № 7. თავმჯდომარე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ შემდეგი კრებები მოხდება ყოველ კვირაობით იმავე ალაგას, ხუთშაბათობით 8 საათზე.

◆ **„აბესალომ და ეთერი“.** რედაქციამ მიიღო ქართული კლუბის გამოცემა „აბესალომ და ეთერი“ მუსიკოს ზაქარია ფალიაშვილის ოპერის ტექსტი. ლიბრეტო პ. მირიანაშვილისა. წიგნი სუფთადაა გამოცემული და 2 მან. და 50 კაპეიკად ღირს,

◆ **სახალხო უნივერსიტეტის გახსნა,** ოქტომბრის პირველს ნაძალადევში დაიწყო სააკადემიო წელი ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის ქართული განყოფილებისა, წელს ქართულად ლექციის მკითხველთა რიცხვი საკმაოა ისე რომ საქმე გაჩაღდება. სხვათაშორის ლექტორებად არიან ჩაწერილნი: ამხ. სამს. დადიანი, შ. ნუცუბიძე, აკ. პაპავა, ქრისტ რაჭველიშვილი, შ. მიქელაძე, [illegible]ორთქიფანიძე, აკ ფალავა და სხვ.

ოქტომბრის 1-ს კრება გახსნა [illegible] ნაკაშიძემ, რომელმაც მდაბიო ენით აუხსნა ხალხს უნივერსიტეტის და კერძოდ სახალხო უნივერსიტეტის მნიშვნელობა, შემდეგ ვარლამ ჩერქეზიშვილმა ორიოდე სიტყვა სთქვა იმაზე, თუ როგორ დაარსდა ტფილისში 1905 წელს სახალხო უნივერსიტეტი, რომლის დამფუძნებელთაგანი იგი იყო შემდეგ ადვილად გასაგები ენით ფრიად საინტერესოდ წაიკითხა ისტორიის შესავალის ნაწილი გრიგ. ნათაძემ.

ხალხი კმაყოფილი დაიშალა.

◆ **საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი მოსკოვში.** ოქტომბრის 1 მოსკოვს გაემგზავრა საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი ხუნდაძე.

სასწავლებლებში.

◆ **საზღვაო სასწავლებელი ფოთში.** სავაჭრო პორტთან ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის ნებართვით იხსნება საზღვაო სასწავლებელი.

◆ **თამარ-მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიაში** სწავლა დაიწყება ორშაბათს ოქტომბრის 7-ს. სემინარია იმყოფება ახალ ბინაზე: ახალბებუთოვის ქ. № 6, დედათა ყოფილი ინსტიტუტის შენობა.

კრებები.

◆ **რაჭა ლეჩხუმის დამხმარე საზოგადოების გამგეობის** კრება დანიშნულია დღეს, საღამოს სწორედ 6 საათზე „სახ. საქმის“ რედაქციაში. წევრებს სთხოვენ არ დაიგვიანონ.

◆ დღეს, საღამოს 8 საათზე, პუშკინის სახალხო ბიბლიოთეკის დარბაზში (ალექსანდროვის ბაღთან) დანიშნულია შეერთებული კრება არქეოლოგიურ საზოგადოებისა და ეთნოგრაფიულ კომისიისა გეოგრაფიულ საზოგადოებისა, სადაც გრ. ფ. ჩურსინი წაიკითხავს მოხსენებას „ავგაროზ-ბაზმანდები კავკასიის ერთა შორის“. კრებაზე გარეშე პირებსაც შეუძლიანთ დასწრება.

სოფლად და ქალაქად

ქ. ხონი.

ამ უკანასკნელ ხანებში ქალაქში უკვე იჩინა თავი ხოლერამ. რაც დრო გადის მით უფრო თან და თან ვრცელდება. ქალაქის საბჭოს დღემდის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ამ გარემოებისათვის, მაგრამ როდესაც იმ ზომამდი მიაღწია ხოლერამ, რომ ქალაქის ბაღში კვდება ადამიანი ამ უცნაური სენით, გამოახილეს თვალები. საუბედუროდ მარტო თვალების გახელა და მარტო იმ წამს ზომების მიღება არ არის საკმარისი.

ქუჩები საშინელ უსუფთაობაშია, განსაკუთრებით განაპირა უბნებში. შორიდან მოსულმა ადამიანმა, რომ ნახოს ქუჩები, პირდაპირ გაუკვირდება, იტყვის სად მოვსულვარო. ხიდები ვერ გააკეთეს. არამც თუ ცხენის წყალზე, არამედ თვით სავაჭროების წინაც ვერ შესძლეს მათი შეკეთება ადამიანი სავაჭროში ვერ შევა თუ ფეხი არ წაიმტვრია. განათებაზე არაფერს ვიტყვი, შეუძლიანთ თავი იმართლონ უნავთობით. არ არის გასაკვირ ალი, თუ ასეთ ანტისანიტარულ მდგომარეობაში იჩინოს თავი ხოლერამ თუ ასეთი პირობები გაგრძელდა და ქალაქის საბჭომ არავითარი ზომები არ მიიღო, მაშინ აუცილებლივ უფრო საშინელ სახეს მიიღებს ხოლერა ვიდრე ეს დღემდის იყო. საჭიროა ეხლავე ზომების მიღება მარტო დეზინფექცია არ კმარა. აუცილებლივ ქალაქის საბჭომ უნდა მიიღოს ზომები და გამოუშვას დარიგება მცხოვრებლებისადმი. ეხლავე გასუფთავებულ იქნას ქუჩები, აკრძალულ იქმნას დაუყოვნებულ ხილების გაყიდვა და სხვ.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კრება ნაძალადევში. პარასკევს, ოქტომბრის 4 ს, საღამოს სწორედ რვის ნახევარზე ნაძალადევის ეკლესიის სამრევლო სკოლაში დანიშნულია ამ რაიონის სოციალისტ-ფედერალისტების კრება. ამხ. ქრისტ. რაჭველიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: საქართველოს საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა.

შაბათს, ოქტომბრის 5-ს, საღამოს 7 საათზე, ტფილისის საგუბერნიო კომიტეტის ბინაზე (პარტიის ბიურო, ზედა სართული) დანიშნულია საგუბერნიო კომიტეტის სხდომა, რომელზედაც განხილული იქნება მნიშვნელოვანი საკითხები. პრეზიდიუმი სთხოვს კომიტეტის წევრებს სხდომაზე დროიანად და უკლებლივ გამოცხადნენ.

მწიფოებრივი მოვალეობა, არამედ პარტია—ამითანა პირობებში ვერასოდეს ვერ მივაღწევთ მტკიცე და ურყეველ მდგომარეობის შექმნას ადმინისტრაციისთვის. სანამ ეს ასე იქნება, სანამ ადმინისტრატორი,—რომელ პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი და რა თანამდებობაც არ უნდა ეჭიროს,—არ განთავისუფლდება ვალდებულებისაგან ანგარიში ჩააბაროს ხოლმე პარტიას და არა მართლმსაჯულებას, რომელიც დარაჯად უნდა უდგეს კანონიერებას. ჩვენში ვერ შეიქმნება ისეთი ადმინისტრაცია, რომელიც სახელმწიფოებრივ მუშაობას დაიწყებს პროვინციაში.

მეორე საკითხი, რომელსაც უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს მთავრობამ, არის ჯარის საკითხი. აქაც მთავრობას ერთგვარი ორჭოფობა ემჩნევა და ეს ორჭოფობა გამოიხატება იმაში, რომ დღემდის ჩვენში სამხედრო ძალის ორი, პარალელური ორგანიზაცია არსებობს. საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა რუსეთსა და გერმანიის მიერ საკმარისი არ არის. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას რუსებზე ჩვენი დამოუკიდებლობა იცნო რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ. მაგრამ ეს არ გვაძლევს გარანტიას იმისას, რომ რომელიმე ძალა რომელიც ბოლშევიკურ მთავრობას არ იცნობს და რომელიც დღეს აქტიურად ებრძვის მას, ერთს მშვენიერ დღეს არ გადმოლახავს ჩვენს საზღვრებს და ბრძოლას არ დაგვიწყებს. ჯერ-ჯერობით არც ის ვიცით, როგორ დასრულდება საქმე ოსმალეთთან. ამიტომ ყოვლად შეუძლებელია დამშვიდებულად ვგრძნობდეთ თავს, თუ საკმაოდ ძლიერი რეგულიარული ჯარი არ შევქმენით და იგი არ დაუპირდაპირეთ იმათ, ვინც ხელის გამოწვდას მოინდომებს ჩვენკენ. რეგულიარული ჯარის შექმნას კი ხელს უშლის არა იმდენად ობიექტიური პირობები, რამდენადაც თვით მთავრობის ყოყმანი და ორჭოფობა. ამ უკანასკნელ ხანებში გამართულმა კამათმა სრულიად მოულოდნელად თავი წამოაყოფინა ერთს სულიერ განწყობილებას, რომელიც დღემდისაც არსებულა, მაგრამ ჩვენ კი არა გვცოდნია ეს არის **უნდობლობა** რეგულიარულ ჯარისადმი. ეს ყოვლად მიუღებელი და ჩვენი მდგომარეობის ძირის გამომთხრელი სულიერი განწყობილებაა. თუ თავიდანვე ასეთი თვალით დავუწყეთ ცქერა ჯარს, თუ შექმნის პროცესშივე თვით ჯარის ორგანიზატორებმა უნდობლობის თვალით დაუწყეს ცქერა თავისავე სამხედრო ძალას,—გარწმუნებთ ეს სრული პოლიტიკური გაბრწნილობის საბაბად გადაიქცევა და სჯობიან ეხლავე სულ დავშალოთ ეს ჯარი და ყველა სახლში გაუშვათ.

მთავრობას არა ერთხელ უთქვამს რომ იგი მომხრეა რეგულიარული ჯარის შექმნისა. თუ ეს ასეა, მაშინ საიდან გაჩნდა უნდობლობის ნოტები? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზოგიერთი წრე შეაშინა ჯარის იმ შემადგენლობამ, რომელიც პარტიული ზეგავლენის გარეშე სდგას ჯარი თავისი შემადგენლობით ჭრელია ორგანიზაციული სახით კი—ნეიტრალური. მისი ბუნება პარტიულ ზეგავლენასა და დირექტივებს ვერ ემორჩილება. იგი თვით თავისი შინაგანი თვისებით სახელმწიფოებრივი დისციპლინის მატარებელია. მას ძალიან კარგად ესმის ბრძანება კანონისა და პასუხისმგებლობა კანონის წინაშე, მაგრამ მან არ იცის, რასა ნიშნავს პარტიული დირექტივები. აი სწორედ ჯარის ამნაირმა შუამდგომლობამ დააფრთხო ჩვენი საზოგადოების ის წრეები, რომელშიაც ფიქრობენ, რომ რაც პარტიული არ არის, არც სახელმწიფოებრივია, მაშასადამე, სახიფათო.

სახელმწიფოებრივი შემოქმედების სხვა დარგებიც რომ გავსინჯოთ, ასეთს სურათს წავაწყდებით. დავინახავთ, რომ ყველგან წითელი ზოლივით გადის ორმაგი სულიერი განწყობილება. ერთი და იგივე მთავრობა თავის წიაღში ატარებს ორს არსებას, ერთ მათგანს წარსულ პარტიულ ცხოვრებაში აქვს გამდგარი ფესვები, მეორეს ჰსურს შეჰქმნას სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მოითხოვს ნეიტრალურ აპარატების შექმნას. ეს ორმაგი სულიერი განწყობილება თავის ბეჭედს ასვამს სახელმწიფოებრივ შემოქმედებას და ორმაგობასა ჰქმნის ადგილობრივადაც.

საქართველოს მომავალი სავსებით იმაზეა დამოკიდებული, მოვახერხებთ თუ არა მტკიცე სახელწიფოებრივ აპარატის შექმნას. აპარატი ისეთი უნდა იყოს, რომ ამა თუ იმ პარტიის ან ჯგუფის დასუსტებას თვით სახელმწიფოებრივი აპარატის დასუსტებაც არ მოჰყვეს. ეს უკანასკნელი გამძლე და მტკიცე უნდა იყოს, რომ ყოველნაირ ქარტეხილს გაუძლოს. თუ ასეთი მტკიცე სახელმწიფოებრივი აპატარი არ შევქმენით, ჩვენი დამოუკიდებლობა ჰაერში იქნება გამოკიდებული და ადვილადაც დავკარგავთ იმას, რაც ესოდენის ბრძოლითა და წვალებით მივიღეთ ..

არ. ჯაჯანაშვილი

სამეგრელოში

სექტემბრის 19.

ამ ჟამად დასრულებულად უნდა ჩაითვალოს ის ხანგრძლივი ანარქია, რომელიც მოდებული ჰქონდა მთელს სამეგრელოს.

ცნობებს ამ ანარქიის შესახებ მე დროგამოშვებით ვაწოდებდი მკითხველთ. ჩემს დღიურში მე განგებ გვერდს უქცევდი წვრილმან ფაქტებს და შეძლების კვალობაზე ვცდილობდი შევხებოდი იმ უმთავრეს საზოგადოებრივ მოვლენებს, რომელიც ახასიათებს სამეგრელოს ანარქიას და უტყუარად ნათელყოფს ამ ანარქიის მთავარ მიზეზებს.

ახლა, ამ ერთის თვის დაკვირვების შემდეგ, საშუალება მაქვს, გადავცე მკითხველთ ზოგი რამ ამ დაკვირვებიდან და გამოვსთქვა საზოგადო მოსაზრებანი სამეგრელოს ამბების შესახებ.

სამეგრელოს მოძრაობას ფართო, საზოგადოებრივი ხასიათი ჰქონდა და იგი გამოწვეული იყო არა რამდენიმე ყაჩაღის პირადის ჟინიანობით, არამედ მთელის რიგით სხვა და სხვა მიზეზებისა.

უპირველესად აღსანიშნავია ის საერთო სენი, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებსაც ჰქონდა მოდებული. ეს გახლავთ რუსული ნაციონალური იდეა, რომელიც ჩვენის რესპუბლიკის მტრებმა ბოლშევიზმის სამოსელში გამოახვიეს და ჩვენს ქვეყანაში გადმოისროლეს. ეს იდეა, რომლის განმახორციელებლადაც გამოვიდნენ ჩვენში რუსის მოხელენი, პოლიციელნი და პროვოკატორნი და რომელსაც აქტიურად მხარი დაუჭირეს სომხებისა და ოსების ნაძირალებმა; სამეგრელოში ჯერ საშა გეგეჭკორის მსგავს პირებისა და შემდეგ სხვა ნაძირალა მეგრელების საშუალებით გავრცელდა. ფული დიდი იხარჯებოდა, ლამაზი სიტყვები კი უფრო მეტი.

ამას ზედ დაურთეთ ოსმალ ავანტიურისტების მავნებელი და საქართველოს მთავრობის საწინააღმდეგოდ მომართული მოქმედება სამურზაყანოში, საიდანაც ტალღა განზრახ გამოწვეულ უკმაყოფილებისა ზუგდიდ-სენაკის მაზრაშიც გადმოდიოდა.

ნიადაგი კი ანარქიის გამოსაწვევად სამეგრელოში ამ დროს თითქოს განგებ და თანდათანობით იყო მომზადებული. სენაკ-ზუგდიდის მაზრაში, განსაკუთრებით ზუგდიდისაში სრული უთავბოლობა და უპატრონობა სუფევდა. ადმინისტრაცია, თითქმის მთელი, სამაზრო კომისარიდან დაწყებული უბრალო სოფლის მოხელემდე, თავის მოვალეობას ან არ ასრულებდა, ან ვერ ასრულებდა. სამართალი გამქრალი იყო და არავინ იცოდა, ვისთვის უნდა მიემართნა საჭიროების დროს. იყოს ვინმე პატრონი და მართლმსაჯული და თუ გინდ ნიკოლოზ მეორის გამოგზავნილი კაცი იყოსო,— იძახდა მოთმინებიდან გამოსული ხალხი, მაგრამ რასაც ელოდა, არა სჩანდა. ადმინისტრაცია თავის გზას მტკიცედ ადგა და საჭიროდ არა სცნობდა, თვალი გაეხილა და ხალხის გულში ჩაეხედნა ყოველგვარ მოვლენას ეს ადმინისტრატორები ყაჩაღობად ნათლავდნენ და მთავრობას დეპეშას დეპეშაზე უგზავნიდნენ, არიქათ დამსჯელი რაზმი გამოგზავნეთ ყაჩაღობის აღმოსაფხვრელადაო. მართლაც მოდიოდნენ რაზმები და სამართალს მოწყურებულ ხალხს ცეცხლით და მახვილით უმასპინძლდებოდნენ. ეს უფრო აბრაზებდა ხალხს და მის გულში უკმაყოფილების გრძნობას იწვევდა. ბოლო ხანს იმდენად გაიზარდა ეს უკმაყოფილება, რომ გარეშე გავლენაც რომ არ ყოფილიყო, მაინც უნდა მომხდარიყო არეულობა ამა თუ იმ სახით.

თუ დუშეთის მაზრაში თვით გლეხთა მოძრაობა სტიქიური იყო და სტიქიურადაც ჩაჰქრა და მთავრობას ხელში შერჩა რუსის და სხვა ერების ბოლშევიკური ბრბოები. სამეგრელოში ხალხის მოძრაობა უფრო შეგნებული და აუცილებელი იყო; თანაც თანდათანობით მომზადებული.

ეს ხელსაყრელი პირობები კარგად გაითვალისწინეს ჩვენმა მტრებმა და სამეგრელოში აგიტაცია დაიწყეს:

— აი თვენი მენშევიკური მთავრობა, რომლისაგანაც შველას ელოდით. თქვენ სამართალი და წესიერება გწყურიათ, ის დამსჯელ რაზმებს გიგზავნით; თქვენ პური გინდათ, ის ცეცხლითა და მახვილით გიმასპინძლდებათ; თქვენ სილარიბე გულს გიწუხებთ, ის თქვენ ნაამაგდარს სახლებს სწვამს, თქვენ ნიკოლოზის რექიმისაგან თავი გაინთავისუფლეთ და უარესი ბორკილი დაგადეს ხელ-ფეხზე,— ეუბნებოდნენ ჩვენი მტრები ისედაც უკმაყოფილო ხალხს.

ხალხმა შეიძულა მთავრობა. შეიძულა მენშევიკებიც. ახლაც სძულს ეს მენშევიკები და მხედველობაში ჰყავს ის წვრილი და მსხვილი ადმინისტრატორები, რომელნიც ქვეყნის სადავეს მპყრობლებად იყვნენ მოწვეულნი, განურჩევლად მათის ნიჭისა, მომზადებისა და კეთილსინდისიერებისა.

დამახასიათებელია ერთი გარემოება: ყაჩაღი ხვიტია და სხვა მის მსგავსი პირნიც, რომელნიც ნებით არ ცხადდებიან და რომელთა რიცხვიც ერთობ მცირეა, ასეთ მუქარას გვითვლიან:

— მართალია ახალი კომისრები და მილიციონერები დააყენეთ სოფლებში, მაგრამ მათი ყოფნა ამ ადგილებზე ხანმოკლეა. საცა მენშევიკები აღმოჩნდებიან, სულ გადავაყენებთ. ჩვენ უარს ვამბობთ ამ ადგილებზე და არც მენშევიკებს მივცემთ ამის ნებასო. დაე მესამე პირი მოვიდესო.

ასე იხსენიებენ ეს პირნი სოფლის ძველს ადმინისტრაციას. ასევე ლაპარაკობდა ხალხი მათ შესახებ და დარწმუნებული იყო, რომ სოფლის ადმინისტრაციის მავნებელი მოქმედება დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის მიერ იყო ნაკარნახევი. ამიტომ მიაპყრო ხალხმა თვალი იმ ბოლშევიკებს, რომელნიც მათ ჰპირდებოდნენ იმას, რასაც მთავრობისაგან მოელოდნენ და ვერ მიიღეს. მათ აგონდებოდათ ძველი მთავრობა და ამ მთავრობის უხეში ძალა და უსამართლობა. აგონდებოდათ ეს და თან რწმუნდებოდნენ, რომ მას უკან მაინცა და მაინც არაფერი არ შეცვლილა და ძველებურად ისევე დაძრწის ქვეყნად ჯალათი სიკვდილის დაუნდობელ ცელით.

ამ დროს სოფლად იარაღის მოგროვებასაც შეუდგნენ. უნდა ითქვას, რომ წესი იარაღის ჩამორთმევისა იმდენად უხეში და მოუფიქრებელი იყო, რომ ხალხი საფუძვლიანად ჩაფიქრდა და შიშმა მოიცვა, აქ რაღაც ამბავია და რაიმე დიდი უბედურება მოგველისო. ხალხს არაფერი არ გამოუცხადეს, არაფერი არ აუხსნეს და პირდაპირ დაუწყეს წართმევა იარაღისა. ერთის სიტყვით მდგომარეობა ისე გამწვავდა, რომ თუ კიდევ ვინმე იყო დარჩენილი მთავრობის ერთგული, ისიც დარწმუნდა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა აღარ არსებობს და მკვდრეთით აღმსდგარა ძველი რეჟიმიო.

ყველგან მოტყუებული და იმედ გაცრუებული ხალხი ბოლშევიკებს შეეკედლა, რომელნიც ამ დროს ფართო აგიტაციას ეწეოდნენ მთავრობის საწინააღმდეგოდ. რასაკვირველია, ხალხმა ვერც ბოლშევიკების კალთაში ჰპოვა მყუდრო ცხოვრება და ვერც იპოვიდა ამ ნახევრად უვიც და ყაჩაღურ ბრბოებისაგან. ეს ხალხი მოიღალა, წელში გაწყდა და მოსწყურდა მშვიდობიანობა და წესიერება. საჭირო იყო, რომ ხალხს ენახა მტკიცე და სამართლიანი მთავრობა.

გადამეტებული არ იქნება, რომ ვთქვა: ასეთის მთავრობის წარმომადგენელი ხალხმა დაინახა გენერალ იოსებ გედევანიშვილის პარტიზანულ პოლკში, რომელმაც ერთსა და იმავე დროს შეიტანა სამეგრელოში მტკიცე სამხედრო ძალა და დემოკრატიულ პრინციპებზე აშენებული კანონი, რაიცა ანსხვავებს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ძველის მტარვალურ რუსეთისაგან.

ამ პოლკის ფრთხილმა და გონივრულმა მოქმედებამ და აგრედვე პარტიზანების საუბარმა გლეხებთან, ყველა დაარწმუნა, რომ ქვეყანა უპატრონოდ არ ყოფილა დარჩენილი, რომ უხეშ ძალის გარდა არსებობს სამართალი და კანონი, რომელსაც ფხიზელ დარაჯად უდგას საქართველოს დემოკრატიული მთავრობა.

— ნამდვილის მთავრობის ჯარი „გედევანის" რაზმი ყოფილაო, — იძახის ერთხმად ხალხი და ყოველმხრივ სცდილობს, ხელი შეუწყოს მის მშვიდობიანს, მაგრამ მტკიცე მსვლელობას სოფლებში...

ამ ერთი თვის წინად, როდესაც სოფლებში თოფ-ზარბაზნები გრიალებდა, აჯანყება უფრო იზრდებოდა და მეამბოხეთა რიცხვი სოკოსავით მრავლდებოდა; ახლა კი პარტიზანულმა პოლკმა ყველას მოუსპო საბაბი რაიმე უკმაყოფილების გამოცხადებისა და საწინააღმდეგო მოქმედებისათვის.

შეიარაღებულებმა, გარდა სულ მცირე გამონაკლისისა, იარაღი დაჰყარეს და განაცხადეს, სხვა ჯარს ჩვენ ცოცხლები არ დავნებდებოდითო; დაე, ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ მოვედით და მორჩილება გამოვუცხადეთ გედევანიშვილის რაზმს, რომელმაც ჩვენში ცეცხლისა და მახვილის ნაცვლად მშვიდობიანობა და წესიერება შემოიტანაო.

ხალხი ამ ჟამად მზად არის დაეხმაროს მთავრობას და ალაგმოს ის ზოგიერთი ყაჩაღი, რომელიც კიდევ დათარეშობს სოფლებში. ამას უკვე ანხორციელებს ხალხი. სექტემბრის 19-ს, როგორც ზუგდიდში ცნობა მოდის, ხალხს ორი ყაჩაღი მოუკლავს.

ახლა სამეგრელოში საჭიროა დაცვა და შენარჩუნება იმ წესიერება-მშვიდობიანობისა, რომელიც უკვე დამკვიდრდა. ამისთვის აუცილებელი ხდება ფრიად სასწრაფო ღონისძიებათა მიღება.

ეს ღონისძიებანი შემდეგია:

1) სრული განახლება სამეგრელოს ადმინისტრაციისა და შექმნა ნამდვილ სასოფლო მილიციისა, 2) კულტურული და იდეიური მუშაობა სოფლებში და მთავრობის ავტორიტეტის ამაღლება და 3) სასურსათო საქმის მოწესრიგება.

სხვათა შორის, წელს ძალიან კარგი მოსავალია სიმინდისა სამეგრელოში, მაგრამ ამ მოსავალს მოვლა ესაჭიროება. მიღებულ უნდა იქმნეს ღონისძიებანი, რომ ეს მოსავალი სულ სხვაგან არ გაიზიდოს და მკვიდრნი ცარიელი არ დარჩნენ, თუ გონივრულად იქმნა მოწესრიგებული ეს საქმე, მაშინ წრევანდელი მოსავალი სამეგრელოსაც ეყოფა და საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხესაც.

რ. ბ—ლი.

ბრესტის ხელშეკრულების დამატებითი მუხლები.

(ოსმალური პრესიდან)

როგორც მკითხველმა იცის რუსეთსა და გერმანიას შორის ზოგიერთი შეთანხმება მოხდა, რომელიც დამატებითი მუხლების სახით ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულებას დაერთო. სხვათა შორის ამ მუხლებში გამორკვეულია ყოფილი კავკასიის საკითხიც, განსაკუთრებით კი საკითხი საქართველოსი და ქალაქ ბაქოსი.

ოტომანური პრესა განსაკუთრებულის გულის-ყურით გამოეხმაურა ყოფილ კავკასიის შესახებ დადებულ მუხლებს და უარყოფითი დამოკიდებულებასთან ერთად დიდ აღშფოთებასაც გამოსთქვამს, რომ გერმანიამ რუსეთთან მოლაპარაკების დროს მხოლოდ საქართველოს ინტერესები იქმნა დაცული და ბაქოს საკითხშიაც გერმანიამ უზრუნველ ჰყო თავისი მდგომარეობა:

„ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაში" სწერს „ჟურნალ დ'ორიანტ"—ორგვარი საკითხია დასმული: ბალტიისა და კავკასიის სახელმწიფოებზე. პირველი სახელმწიფოების შესახებ, როგორც თავის მოსაზღვრე ქვეყნებისა, რასაკვირველია, დამოუკიდებლად უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკება. რუსეთ ფინეთის, რუსეთ-უკრაინის და სხვათა საკითხი ბერლინში სწყდებოდა ვილჰელმ—შტრასელ დიპლომატების მეთვალყურეობით. რაც შეეხება აზიის, კავკასიის ქვეყნებს, აქ კი მოლაპარაკება სტამბოლში უნდა გამართულიყო. მართლაც გერმანია საკმაოდ დაშორებულია ამ ქვეყნებს დადგენილებანი ადერბეიჯანის, საქართველოს და სხვათა შესახებ, როგორიც არ უნდა იყოს ეს დადგენილებანი, გერმანიის სერიოზულ ინტერესებს არ უნდა შეადგენდეს.

ყოველივე კავშირი ურთიერთ დათმობაზე უნდა იყოს დამყარებული. გერმანიამ რომ მოსკოვს დაუთმო, ამას ბერლინის გაზეთი ხსნის იმით რომ რუსეთის მთავრობას დიდ მნიშვნელობას აწერდა. რომ ბაქო მისი სიმდიდრით თავისთვის უზრუნველეყო. როდესაც ბოლშევიკურ რუსეთზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მიუხედავად ერთა თვითგამორკვევის პრინციპის აღიარებისა, ის სცდილობს თავის ძალა უფლება და ბატონობა გაავრცელოს მთელ ყოფილ რუსეთზე. ვისზე არ მიიტანა ბოლშევიკების რუსეთმა თავისი იერიში!

თუ კი არის დიდი სახელმწიფო, რომელსაც ეხება კავკასიის უმეტეს შემთხვევაში მუსულმანურ რესპუბლიკების საკითხები, ეს ოსმალეთია".

სხვა გაზეთები უფრო მეტ სიმკაცრეს იჩენენ გაზ. „ზემანი" უსაყვედურებს, რომ მან მხოლოდ საქართველოს საკითხში დაათმობინა მოსკოვის მთავრობას, იმ საქართველოსი, რომლის შესახებ ერთი სიტყვა არ ყოფილა ბრესტის ხელშეკრულებაშიო.

„შეუძლებელიც რომ ყოფილიყო—ამბობს „ზემანი"—კავკასიის ერებისათვის რაიმე დათმობის მოპოვება, გერმანიას მაინც არ უნდა გამოეგლიჯა ბოლშევიკების ხელიდან დაპირება, რომ ნაწილი ბაქოს ნავთისა მიეცემა გერმანიას და მის მოკავშირეთ: ამით მან პირის პირ დააყენა ბოლშევიკები და ის ერები, რომელიც პრეტენზიებს აცხადებენ ამ კუთხეზე.

ჩვენ არ ვიცით, რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა გერმანია, როდესაც ოსმალეთისა და კავკასიის ერების სურვილის წინააღმდეგ მოქმედებდა. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ეს მოსაზრებები, ის შემცდარია.

გერმანიის გაზეთი ამბობს, რომ ოთხ მოკავშირე სახელმწიფოს არ შეეძლო არ აღიარებინა ნორჩ სახელმწიფოების უფლება და კეთილი განწყობილება არ დაეჭირათ მათთან.

კეთილი. მაგრამ ნუ თუ ამ სახელმწიფოებიდან მხოლოდ საქართველო არის ღირსი კეთილი განწყობილებისა ნუ თუ მხოლოდ კავკასიის საკითხებში მხოლოდ კავკასიელები არიან დაინტერესებული. გერმანია რომ ყურადსაღებად სთვლიდა საქართველოს საკითხს, ნუ თუ ეს იმას ნიშნავს, რომ მას უნდა დაევიწყა ოსმალეთის ინტერესები და მრავალ მილიონ თურქთა და მუსულმანთა ინტერესები და სურვილები ბოლშევიკების პრეტენზიებისთვის მიეტანა მსხვერპლად.

შეიძლება—განაგრძობს გაზეთი—მკაცრი იყოს ჩვენი ტონი; დე, გვაპატიონ ეს ჩვენმა მოკავშირეებმა: ჩვენი გული სისხლიდან იცლება ამგვარი საქციელის და მოქმედების გამო".

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1128

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ბ. მ. მეჯრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრო-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით, თავის დუშში ვენის ტიპისა, დიდი ხოლონოიდი, განსაკუთრებული ხაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელ. № 7—92. 1340

ექიმი ა. ვ. ლივენშტეინის კაბინეტები წამლობა **რენტგენის სხივები** და **ელექტრონით.** მიიღება ავადმყოფები შინაგან, ნერვიულ და ქალთა სნეულობით. რენტგენის სხივებით და ელექტრონით წამლობა წინასწარი ჩაწერით. სპეციალურად გულის, ფილტვების, კუჭის და [illegible] ავადმყოფობა. ავადმყ მიიღ. 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3. ტელ. 12—46. ავადმყოფს თარჯიმანი უნდა ახლდეს თან. 991

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო.-ხახაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

ექიმმა დიასამიძემ განაახლა ავადმყ. მიღება ნაშუადღ. 1—2 სად. 5—6 კვირის გარდა. ოლღას ქუჩა 15 ტელ 18—03. 2010

ექიმი ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შემხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დით მიხაილოვის შეახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 34 301

ექიმი მ. ბ. მეფხვაძე ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკაში ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულობით. 3 საათიდან ნაშუადღევის 5½ საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქ. № 19. 992

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 903

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. მელიქოვის ქ. № 12. 1060

ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი ჩულუკიძე. განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგან და ქირურგიულ ავადმყოფების მიღება: დილის 10-დან 11 საათამდე და საღამოს 5-დან—6-დე. ბორჯომის ქ. № 3, ტელ. 11—35. 2001

ექიმი ი. ქ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრედიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

თვალის სამკურნალო, მუდმივი საწოლით ექიმ დოხნინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმ ნავასარდიანის კერძო სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ე. ი. მაზნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. ბ. აგასაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ხ. გ. ავეტისიანი—9—11 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.

საღამოთი:

ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ა. ნავასარდიანი.**

კერძო სამკურნალო
ექ. ალექსიძის
მომსვლელ ავადმყოფთათვის
სპეციალისტ ექიმებისა
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე
ა. დ. ალექსიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი 11—1 ს. და საღ. 5—6 ს.
ნ. ტ. ანდრონიკაშვილი კანის და ვენერიული ავადმყ. 8—9 ს. და 6—7 ს.
გ. მ. რეკვავა შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს. და 4—5 ს.
ხვ. გ. ჯაფარიძე—საბავშო ავადმყოფობისა, 1—3 საათამდე.
სამკურნალოსთან არის ლაბორატორია, სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა. გამგე ლაბორატორიისა ექ. მ. მ. ტყემალაძე.
მისამართი: ერეკლეს ქ. № 6 ეგზარხოსის მოედანთან.
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2019

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„სახალხო საქმე"
ღირს. თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე" ბარონის ქუჩა